კვირა 11 აპრილი

ფასი 10 კაპ.

№ 15 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ტ ე რ ი ტ ო რ ი ა.

გრ. რობაქიძე. (უმიწა-წყლოთ გლეხებს!) მიიღეთ, ბატონებო, თითოეული ტაეპი ივეფხის ტყაოსნისა*, ცოტა რომ ვსთქვათ, ორი ათას დესიატინა სახნავ-სათეს მიწას მაინც ეღირის...

ეშმაკის ინტერვიუ.

დედოფალ ზეინაბთან.

შეიძლება ბევრი გააკვიროს ამ სენსაციურმა შემთხვევამ, შეიძლება ბევრმა ეჭვის თვალით შეხედოს ეშმაკის ამ საარაკო ექსკურსიას, შეიძლება ბევრმა არც კი დაუჯეროს მას, მაგრამ მე მაინც მოგახსენებთ, რომ, თუმცა დიდი წვალებისა და პროტექციების შემდეგ, მაინც მოვახერხე იმ სოფლად გასვლა და იქ საჭირო ამბის გაგება.

ქრთამი, ხომ მოგეხსენებათ, ,,ჯოჯოხეთსაც ანათებს'' და სამოთხე კი თავისთავად განათებულია.

— ნეტავ რას მერჩიან ეგ მიწელები,—წყნარათ და ახლანდელ ქართველ ქალებისათვის მიუწდომელი წმინდა ქართული ენითა და კილოთი დაიწყო დედოფალმა ზეინაბმა.—მე მგონია იმდენი არაფერი დამიშავებია ჩემი მამულისათვის.

— თქვენ რაზედა ბრძანებთ დიდებულო, დედოფალო?

— როგორ თუ რაზე?! ჯერ არის და ამ სცენაზე მაწვალებენ, მტანჯავენ, ვინ მოსთვლის ვის კერძათ არა მხდიან, ახლა კიდევ ეს ,,ლიტერატურული გასამართლებაო''

— ნეუჟელი თქვენ ასე ექსტრენათ გაიგეთ ეს ამბავი? გავიკვირვე მე.საქმე იმაშია რომ ლიტერატორი „სიტყვას" აზრით: „ზეინაბის გასამართლება ბევრის მხრივაა საინტერესო გარდა იმისა, რომ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ზეინაბის პიროვნება მით არის საყურადღებო, რომ უჩვეული მსხვერპლის გამომსახველია, და როგორც ასეთი ჯერჯერობით უძაგალითოა ჩვენს მწერლობაში.

„განა შეიძლება მაღალს საქმეს ყველაფერი შესწიროს ადამიანმა? ასეთს საკითხს გვიყენებს ზეინაბი და ამის პასუხი ასე ადვილი არ არის, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება. **ამ კითხვამ შეიძლება გადაგვჩეხოს უფსკრულში და შეიძლება აგვამაღლოს ცამდე.»**

ოთარ-ბეგმა ცხრები აიჩეჩა. ცხადია: ან ჩემი ლაპარაკი არ მოეწონა, ან სიტყვის აზრები.

— მერმე ვინ უნდა გაასამართლოს ჩვენი დანაშაული, ვინ?!

მრისხანეთ ჩაილაპარაკა ოთარმა და სწორეთ გავოცდი, როცა მისი ქართული კილო და ჩვენი დროის ,,ოთარის'' ლაპარაკი ერთმანეთს შევადარე.

— ვთქვათ მიგვიძღვის რაიმე დანაშაული, მაგრამ ეს ,,ლიტერატურული გასამართლება'' ალბათ ახალი რამ უნდა იყვეს. დასძინა დედოფალმა.

მე ჩამეცინა.

— ჩტო ვი, გასპადა! რაებსა ბრძანებთ! ეს ცალკე დანაშაული როდია, ნიჩევო პადობნავო; ლიტერატორები ერთი რჯულის ხალხს ეწოდება. ახლა უსაქმოთ არიან და აი დროს გასატარებლათ მოიგონეს ასეთი ფოკუსები.

— მე არაფერი მესმის ჩაერია ლაპარაკში ანანია გლახა. — განა ხალხმა კიდევ გამოიცვალა რჯული? ასეთი რჯული ჩვენს დროს არა ყოფილა!

— პარდონ! უკაცრავათ! მე ცოტა ამერია. . რჯული კი არა „ჯური" უნდა მეთქვა. ეს წიგნის მცოდნე ხალხია, მაგრამ ყველანი ქრისტიანები არიან, ღვინოსა სვამენ და ღორის ხორცსა სჭამენ.

— კარგი. მაგრამ თუ ჩემს ბატონს ასამართლებენ, მე რაღად მიმატოვეს? ჩაურთო მხიარულმა ბესომ,—მეც ხომ მუდამ მასთან ვიყავი.

— თქვენ ალბათ სლედოვატელი დაგიბარებს მოწმეთათ, ასე იციან ხოლმე.

— ვინაო?

— ვინა და სლედოვატელი, რომელიც საქმეს იძიებს.

— მამა უცხონდა მე იმას ჩვენება მივსცე!

— ნუ თუ მაროლა ასეთი უსაქმობაა დედამიწაზე? გულმტკივნეულათ იკითხა დედოფალმა.

— დიდი, დიდი უსაქმობა და სიღარიბეა, მადამ! თქვენი გასამართლებაც ამ სიღარიბემ გამოიწვია, ატო, არაფერიც არ იქნებოდა.

— როგორ, სიღარიბე აქ რა შუაშია?

— ჰმ! თქვენ ძლიერ დაშორებიხართ დედა-მიწას ბ-ნებო! ახლა საქართველოში სულ სხვანაირათ არის საქმეები. ჩვენ გვაქვს თეატრი, იქ სკამები სდგას და სცენაა. სცენაზე სუდი იქნება და სკამებზე ხალხს დასხმენ. თითო სკამზე დაჯდომა ფული ღირს ამ ფულებით ჩვენ წერა-კითხვას ვავრცელებთ.

— და ქრისტეს სარწმუნოებასაც, არა? შემეკითხა საბა სალოსი.

— ნეტ, მღვდლებს იქ შესვლის ნება არა აქვთ ეს მარტო ხალხისთვისაა

— კარგი. ვსთქვათ გაგვამტყუნეს, დანაშაული დაგვიმტკიცეს, მერმე რას გვიზამენ, რა სასჯელით გვემუქრებიან? შემეკითხა ოთარი.

— დიდი არაფერი, მხოლოდ გაზეთში ჩაგბეჭდავენ. მაგრამ ჩემის აზრით არ არის მოსალოდნელი არავითარი სასჯელი. ახლა ისეთი ლიბერალური სუდიები გვყავს, რომ წარმოიდგინეთ, თვით ქრისტეევან დედოფალიც კი გაამართლეს.

— იჰოო! ერთხმათ წამოიძახეს დედოფლის მხლებლებმა. ეს უჩვეულო ამბავი თვით რუქაიასაც კი გაუკვირდა.

— ქრისტეს მცნება ლმობიერებას გვიქადაგებს! ბარაქალა მართლ-მსაჯულებას! დინჯათ წარმოსთქვა საბა სალოსმა.

— ლმობიერება კარგი რამაა, მაგრამ თუ სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვს, ეს გრძნობა შეიძლება მიყუჩდეს. მკვახეთ უპასუხა გორის ეპისკოპოსმა.

— არა პატონებო, თქვენ სრულიად არ გესმით ჩვენებურ ლიტერატორთა ფსიხოლოგია. ისინი მხოლოდ თავის მოსაწონებათ დასცურავენ ხოლმე ლიბერალურ ფარდებში, მქუხარე სიტყვების საშვალებით მსმენელთაგან აპლადისმენტებს გამოელიან. რას იზამ, ახლა ასეთი მოდაა.

— წარმოიდგინეთ, მე არც თქვენი ლაპარაკისა მესმის რა, ნაწყენი კილოთი მიპასუხა დედოფალმა. — რა არას ეგ „ფსიხოლოგია", „ლიბერალური ფარდები" და „აპლადისმენტები"? არც ერთი ჩემთვის არ თქმულა.

— რა ვქნათ, დედოფალო, ჩვენში განათლება უმწვერვალეს წერტილამდის ავიდა. ლაპარაკში უკეთ სიტყვები ხშირია. თქვენ კი არა ხშირათ ჩვენც, მიწელებსაც, აღარა გვესმის ერთმანეთისა.

— კარგი, ერთი ეს გვითხარი, ვინ არის ეგ ვ. გუნია, ჩემს მაგიერობას რო ეწევა? შემეკითხა ოთარი.

— ნუ თუ არ იცნობთ?! ეს „ნიშადურის" რედაქტორი გახლავთ. რამოდენიმე დრამაც გადმოიმასქნა რუსულიდან; ქართულ სცენაზედაც თამაშობს.

— თუ ეგრე პატივცემული კაცია, თამაშობისა არა სცხვენია?

— ნა პროტივ! სამარცხვინო რედაქტორობა და დრამატურგობა დაურჩა, თორემ მარტო თამაშით რომ დაკმაყოფილებულიყო რა უშავდა.

— ძლიერა მგავს?

— ჩვენ გვეგონა, მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ მსგავსება იმდენია, რამდენიც ალრაზაკსა და ბესოს შორის.

— ეგ ბრალმდებლები ვიღა არიან? შემეკითხა ერეკლე.

— ერთი იოს. მაპავარიანი გახლავთ. ვექილი კაცია. ამბობდენ ქარგი რეჩი თქვა ქეთევანის გა სამართლებაზეო. მეორეს ალბათ თქვენც იცნობთ ვახტანგ ღამბაშიძეა, ექიმი, პატარა ცემში სანატორია აქვს მოწყობილი დამცველებიც, ანუ ადვოკატებიც...

— ვა, რაო, კატებიო? გამაწყვეტინა ბესომ.

— ადვოკატები, ესენიც ახალმოდის ხალხია, ორივენი კარგები არიან. კიტა აბშიძე კრიტიკოსია, პოეტობის მოწმობებს ურიგებს ხალხს და გრ. ბაქიძე ხომ ფილოსოფოსია და ფილოსოფოსი.

— მოსამართლენი ვითომ მიუდგომლათ განსჯიან ჩვენს საქმეებს? შემეკითხა დედოფალი.

— ამაში ეჭვი არავისა აქვს. იოს. ბარათაშვილი ხომ იცით პირველი დუმის დეპუტატი იყო, ვიბორგის მოწოდებისათვის სამი თვე ციხეში იჯდა. გრ. დიასამიძე კი დიდი ჯენტლმენი ყმაწვილი კაცია. ცოტა გოთუასთან მოუვიდა უსიამოვნება, მაგრამ რას იზამ, უცოდველი იმ ქვეყნად არც თითონ გოთუა არის.

— ნაფიცი მსაჯულები რაღა ჯანაბა მოგონებაა? შემეკითხა ოთარი.

— როგორ თუ ჯანაბა! საქმეს არსებითად მაგენი სწყვეტენ. თუ უმეტესობამ დაადგინა: „დამნაშავეაო", სჩანს დამნაშავენი ყოფილხართ.

— მერმე საიმედო პირები კი არიან არჩეულნი?

— განა თქვენ თითონ არ იცნობთ? ივ. გომართელი, ხომ გახსოვთ, პირველი დუმის დეპუტატი რომ იყო. მწერალი კაცია, ექიმობაც იცის აი რაღაც რომ დასწერა სარწმუნოების შესახებ და ერთი წლის ციხე მიუსაჯეს.

— ახია! სარწმუნოება წმინდათ უნდა იყოს დაცული. დასძინა საბამ და წვერებზე ხელი გადაისვა, სწორეთ ისე, როგორც ამას ქართულ სცენაზე არტისტი ივანიძე შვება ხოლმე.

— აი ამისთვის ერთი წელიწადი უნდა იჯდეს მეტეხში.

— რაო? ერთხმათ წამოიძახეს ჩემმა მოსაუბრეებმა.

— მეტეხის საპყრობილეში უნდა იჯდეს ერთი წელიწადი.

— განა მეტეხში ჯარი აღარა სდგას?

— ჯარიცა სდგას რასაკვირველია. ყოველ საათში იცვლებიან მცველები. იმდენ ტუსაღს უყურადღებოთ განა ვინ დასტოვებს.

— როგორ, რას ამბობთ ყმაწვილო, ჩვენს მეტეხში ტუსაღებს ამწყვდევენ? გაკვირვებით შემეკითხა ზეინაბი.

— რამდენიც გნებავთ! მაშ სად წაიყვანონ ამდენი დამნაშავეები?

— ვინ არიან ეგ დამნაშავენი? თათრები?

— რასა ბრძანებთ! ქართველები, სომხები, რუსები.

— მერე რა დანაშაული მიუძღვით? იკითხა დედოფალმა.

— ვინ მოსთვლის: ზოგს პროპაგანდისტობა, ზოგს კრებაზე სიტყვის წარმოთქმა, ზოგს აკრძალული წიგნების შენახვა, ზოგს აკრძალულის დაწერა, ზოგს გლეხების და მუშების თანაგრძნობა, ხოლო უფრო მეტს გაზეთის რედაქტორობა.

ამ ამბავმა ყველანი გააოცა. ძლიერი ყურადღებით ისმენდენ ჩემს საუბარს, მაგრამ უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ყველანი შესწუხდენ, საჩქაროთ გამომეთხოვენ, მთხოვეს მეცნობებია მათთვის „ლიტერატურული გასამართლების" ამბავი და გამშორდენ.

ეშმაკი.


ლონ-ლიმიყა-ოზურგეთელი (მგელოაძე)
სანჩო ივანე-ჭაკელი
მეფრთებზე ვამარჯვების მემდევ.
ОСКАР
ШЛИНГ

მესტვირული

მოდით, სუყველამ მიტირეთ
კაპასი ცოლის ქმარიო:
არ დამაყენა ჩემს ქოხში,
მიჩვენა განის კარიო,
მომვარდა ლანძღვა-გინებით,
დღე დამაყენა მწარიო
თვალთაგან ცრემლი მადინა
ცხვირიდან ნაღველ-ძმარიო:
—„არც სივაჟკაცე გივარგა,
„აღარც მოდგმა და გვარიო,
„დაბერდი... რაღა კაცი ხარ,
„ან რაში მოსახმარიო?
„ვერც გუდა გაგიბერია,
„ველარც სტვირს მოიხმარიო,
,,ქვეყანა ამბით აივსო,
,,შენ გდიხარ, როგორც მკვდარიო.
,,შეგირცხვეს გუდა-ქამანჩა,
,,მისი გაწვდილი ტარიო,
,,არა მსმენია მე მისგან
,,ერთი რამ გასახარიო.
,,ადექ, ჩაბერე ქამანჩას,
,,ააჭყიპინე სტვირიო,
,,გაუდექ თფილისისაკენ—
,,ბილეთი არ ღირს ძვირიო—
,,აღარც სტრაჟნიკი დაგიჭერს,
,,არც ჩვენი სოფლის გზირიო...
,,ამბობენ, თფილის ქალაქსა
,,შეჰყრია დიდი ჭირიო:
,,სინდის **კატება** კაცები
,,შექმნილა მეტად ხშირიო,
,,კაცმა არ იცის, საიდან
,,მოიდგა სენმა ძირია,
,,წადი, შეიტყე ამბავი,
,,ამას გაგება სჭირია''.
ვახსენე წმინდა ეშმაკი
და ჯოჯოხეთის ძალები,
მათრახი წელში გავირჭე,
დავაბრიალე თვალები,
ისე შევბღვირე დედაკაცს,
აუცახცახდა ძვალები
(მამულიშვილსა არ შეფერს
გაადიდგულოს ქალები).
მოვძებნე გუდა-ქამანჩა,
ძველი წინდა და ქალმები,
ხელათ დავესვე თფილისში,
ვით სწრაფად დანაბარები.
ავაჭყიპ-ჩავაჭყიპინე,
დავმღერე ,,დელი დელაო'',
ზოგს ტუჩზე ღიმი მოვგვარე,
ზოგს ავუტეხე ხველაო,
ვინაც კი რამე იცოდა,
ჩამოვიარე ყველაო,
სინდის-კატება კაცები
მინდოდა გამექელაო.
აქ სხვაფრივა ჩანს სასაქმო
სიჭრელეა და ბნელაო.
ზოგს მწერალს ჯიბე თხელი აქვს
და შუბლის კანი სქელიო,
ზოგს ჯიბე დამძიმებია
სინდისი ერთობ თხელიო,
ფულს მისცემ,—რაც გსურს, დაგიწერს
დაბეჭდავს, დაგეხმარება,
მას არც სინდისი აწუხებს,
არცა მოყვასის წვალება,
ოდეს გამოჩნდეს ქანქარი,
პრინციპი დაემალება.
ორ კაპეიკათ გაგყიდის,
კაცი არ შეებრალება
ასეთი წმინდა სასაქმო
განა ჩვენ არა გვსმენია?
ეგნატე ხვინჭარაძესა
ფახუმ ხაშს მაგის სცხვენია?
ორ ძმათა სუმბირიძეთა
მაგის შნო შეუძენია,
რაც სოფლათ ფული აიღეს,
თქვენ სიზმრათ არ მოგჩვენია.

ამა საქმეზე შემოკრება
,,ექიმთა'' მართლმსაჯულობა
(ქადასა სჭამენ, ხომ იცით,
თუ გულმა სცადა გულობა)
დაიწყეს. (კარგა ხანია)
კრებათა აბარგულობა.
პატიოსნებას ეძებენ,
ცხადათ სჩანს დაკარგულობა,
პოლიციელსა ძაღლებათნ
აკლიათ მოციქულობა
,,იქნებ იპოვოს იმანო''
ასეთი არის თქმულობა.
ეხლა გავიგე ყოველი
საქმისა შეკაზმულობა
მათრახი ვიძრე მაგრამა
მაჩერებს მართლ მორჭმულობა
არ ვიცი რომელს შევუმკო
ზურგსა მოხაზელობა:
დამნაშავეთ თუ მსაჯულებს
ეტყობათ სულ წასულობა.
ორივე მხარეს ეტყობა
ტუჩების გამურულობა.
როს გამოირკვეს ეს საქმე,
შეიქმნას დიდი ჭმულობა
ცაზედ კამეტა გამოჩნდეს
მიწაზე ფერ წასულობა
ჩემმა მათრახმაც იმდროსთვის
არა ქმნას ხანდაზმულობა,
და მკვირცხლათ შეათამაშოს
თავისი ბოლო წნულობა.

ბენუკა.



დეპეშები.

თელავი. ადგილობრივ სასწავლებელში კინალამ მარცხი დატრიალდა. ფიზიკის გაკვეთილის დროს მასწავლებელ დიდიას კლასში აფეთქდა ინსპექტორი ცისკაროვი. მასწავლებელი ღვინებლათ გადარჩა, შეგირდებს კი კინელამ გულები დაუსკდათ.

იქიდანვე. ქალაქის ბაღში უკვე შეუდგენ ხეების მოთხრას. ამ საქმის ინიციატორობა მაზრის უფროსსა და ციხის ზედამხედველს გაუწევიათ. მალე ბაღიც გაიწმინდება მცენარეებისაგან, რადგან ჩრდილი ძლიერ უხშობს თთრმე მზის სხივებს სატუსაღოს ბინადრებს.

აქიდანვე საკრებულო ტაძრის მრევლთან ეტლით სეირნობის დროს, გადმოვარდა ერთი მოძღვარი და მძიმეთ დაშავდა. ამბობენ ორიოდ კენჭს კინალამ თავი ანაცვალაო

იქიდანვე. როგორც მოგეხსენებათ მცენარეს ნოტიო ადგილი უყვარს, იქ ის უფრო ხარბათ და სწრაფად იზრდება. სამაგიეროთ ქვითკირის კედელი მშრალზე თურმე უფრო მაღალი ამოდის და ნოტიოში კი მიწას ვერ ამოსცილდება სწორეთ ამ გარემოებით სხნიან იმ ახიოებულ მოვლენას, რომ რიყეზე აშენებული კედელი მიწას ვერ ააცილეს, ხოლო მიხაკოს სასახლის ირგვლივ გალავანი თითქმის ცას ებჯინება.

იქიდანვ . ადგილობრივ საკრებულოში ჩხრეკის დროს შეიპყრეს სანდუხტა, რომელსაც მოიმასქნილი საფულე აღმოაჩნდა. მამასახლისებს ეს არც გაჰკვირვებიათ, რადგან ასეთი საქმე ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა მათში.

იქიდანვე. ამ დღეებისათვის დანიშნული კრივი მასწავლებელთა შორის, სადღესასწაულოთ გადაიდო. გადამჭრელი ბრძოლა მოხდება საკრებულოს დარბაზშივე.

ზავი.

ამირაჯიბი გიორგი,
ჩვენში რაინდათ ცნობილი,
სარედაქტორო მაგიდას
ეჯდა ყურ ჩამოშობილი.
დიასამიძე გიგოი,
ვითარცა სარო სობილი,
მუნვე სდგა, ამირაჯიბის
„მცველ ანგელოზათ" ხმობილი.
თვით გრიგოლ რობაქიძეი,
ფილოსოფოსათ შობილი,
ვით ბონაპარტეს ქანდაკი
გულზე ხელ გადაქდობილი,
დიასამიძის ახლორე,
შარავანდედით მკობილი
იდგა უძრავათ, თვალთაგან
ღვთიურ ცეცხლ გამოკრთობილი.
კარგა ხანს დარჩენ მდუმარეთ
და ფიქრთა ქვეშე აგენი...
ბოლოს ისევე გიორგიმ
აღახვნო თვისნი ბაგენი.
ღაღად ჰყო:— მარქვით მოძმენო,
თქვენა ხართ ჩემი გამგენი,
რას იქმენ ხეჩატუროვის
მოყმენი, შესაძაგენი?
ბოდიშს იხდიან თუ არა,
სომხური ხაბიძგინები?
რას ამბობს თითონ ივანე

ბანკის ბაღს ნაბრიგინები?
როგორ შემბედეს მე, თავადს
და შემიგინეს ტვინები ..
ისე დავლესო ყველანი,
ვითარცა რუსის ბლინები!"
—„ნუ სცხარობ, დიდო თავადო'
ნერვები მოგედუნება;
რაღა თქმა თნდა, ზოგიერთს
არც აწყენს თუმცა ცხუნება,
მაგრამ მუშტები გარნადა
არც იმათ დაეწუნება ..
ღვთით, ბეჭი განიერი გაქვს
ზედ კარგა მოგერგუნება...
სჯობს კომპრომისზე წავიდეთ
გამოიცვალო გუნება,
გაზეთ'ში მუშტზე კამათი
ყურს ავათ ელამუნება"
უთხრა გიგოიმ, რომელსა
ტაქტი არ დაეწუნება.
— დიდო თავადო! გრიგოლმა
რქვა ენით დადინჯებულით,
„ცნობილ ხარ საქართველოში
მუშტით და კრივით ქებულით,
პატივის დასაცავათა
ხეთქილით, გალაღებულით,
მაგრამ რომ არა შეგვწამონ
ყოფნა აზრითა კლებულით,
ჰხამს საქმის დინჯათ წაყვანა
გეგმებით მოფიქრებულით."
კვალად დასდუმდენ მოყმენი
ფიქრებით დატვირთულები,
მძლავრ გუგუნებენ მკერდთ ქვეშე
იმათი მტკიცე გულები...
მაგრამ ეშველათ... უმალვე
გაუქრათ გულის წყლულები;
ხეჩატუროვის რაზმიდან
გამოჩნდენ მოციქულები!
მათ მოახსენეს: —„თავადო!
ნაშთო გვარისა დიდისო,
ზავისა საქმე ჩვენი მხრით
წარჩინებულათ მიდისო,
სტავროვსკი დავიყოლიეთ
აწ „ძაღეს არა ყიდისო",
და რედაქციის წინაშე
მორჩილად ბოდიშს იხდისო."
ზე წამოიჭრა გიორგი
ვითა ლომკაცი, ზვიადი,
შუბლი შეიკრა ნაოჭით,
სახეს მოჰფინა წყდიადი,
მუშტი მიზიდნა, მარჯვენა
ხელისა ბოლოდ დიადი,
და მოახსენა მოციქულთ
პასუხი მკვახე ფრიადი:
— „წა, მოახსენეთ სტავროვსკის
ეგ ჩემი დანაბარები:
მან შეურაცხმყო არა მე,
არამედ ჩვენი გვარები,
ჩემნი ნაცნობნი, მოძმენი,
მოკეთე, მტერ—მოყვარები,
ამერ-იმერის თავადნი
მამულის ბურჯნი, ფარები,
დე, იმათ სთხოვოს ბოდიში
თუ არ სურს სისხლის ღვარები.
მე კი, თავადი გიორგი,
მისი არ შესადარები,
ზურგიდან არვის დავესხმი,
არც მალვით მივეპარები,
მაგრამ იცოდეთ, თუ სიტყვით
ვერაფერს მოვეგვარები,
ისე გაგიხდით სტავროვსკის
ვით იატაკის მჩვარები. .
წა! მომიტანეთ პასუხი
სწორი და დანაჩქარები!"
აქ გრიგოლ რობაქიძესა,
გაუდგა შიშის ქარები,
ფაქრობს: „ატყდება ამბავი
ზე-ფრიად სამწუხარები...
ისევ ისა სჯობს დროითვე
გავალ და გავიპარები...
(მყისვე მონახა დარბაზის
უკანა კიბე კარები.)
მუნ დარჩა მხოლოდ გიგოი,
არ ოდეს ანაჩქარები,

ეშმაკი.

გოროდოვოი საპოგოვი

(თარგმანი)

იალტელმა გოროდოვოიმ, საპოგოვმა, მიიღო მთავრობისაგან დავალება, ჩამოევლო და გაეგო: მართლა იმ ხელობას მისდევენ იალტაში დასახლებული ებრაელები, რის მეოხებითაც მიუღიათ აქ ცხოვრების უფლება, თუ ჩვეულებრივ თვალთმაქცობენ და ატყუილებენ მთავრობას.

ცბიერ და მოხერხებულ ებრაელთა შემოწმება საპოგოვს ამ რიგათ დაავალეს: თითეულ ებრაელს მის თვალწინ უნდა გაეკეთებია ის ნივთი, რის მოხელეთაც იგი ითვლებოდა.

— ოო, შენ დიდი სიფრთხილე გმართებს, უთხრა უბნის ზედამხედველმა საპოგოვს,—თორემ ისე გაგაცურებენ, ისე აგიბნევენ დავთარს!

— ურიები? მე ამიბნევენ? ჰე ჰეე!

საპოგოვი წავიდა.

— გამარჯვება! უთხრა საპოგოვმა ახალგაზრდა

ფოტოგრაფ აბრამ გოლდინს. შენ, აი ისემე... შენს ხელობას ასრულებ?

— რატომაც არ უნდა ვასრულებდე? გაიკვირვა გოლდინმა. ამითი ვჭამ ერთ ლუკმა პურსა. ფოტოგრაფია, ეს ისეთი ხელობაა, თუ კაცი კარგათ გაუძღვება პურსა და კარაქს ყოველთვის იშოვნის. ჰე... ჰეე!..

— კარგიი!... ცოტა მოკრძალებით წარმოსთქვა საპოგოვმა. მაგრამ იცი... იცი შენ, ძმაო... შენ დამიმტკიცე! ხომ ხედავ შემოწმებას ითხოვენ...

— დიდის სიამოვნებით, დიდის სიამოვნებით... შეფუცხუნდა მასპინძელი. აი ამ წამშივე ისეთი სახე გადაგიღოთ, რომ თქვენვე შეგიყვარდეთ თქვენი თავი. გთხოვთ დაბრძანდეთ... აი ასე! თავი ცოტა განზე, გთხოვთ თვალებს ცოტა ინტელიგენტური გამომეტყველება მისცეთ... პირი შეგიძლიათ დამუწოთ! დამუწეთ პირი! ნუ გაიფუყეთ, თითქო კბილები გტკიოდეთ. ცხვირს მოაშორეთ ხელები თუ შეგიძლიათ. როცა გავათავებ, შემდეგ შეგიძლიათ რაც გნებავთ ის უქნათ თქვენს ცხვირს. გთხოვთ არ გაინძრეთ! აი ახლა ნამდვილი კაცური შეხედულება გაქვთ! ვიღებ! მზათაა! გმადლობთ! ახლა შეგიძლიათ თქვენ ცხვირთან იქონიოთ კავშირი.

საპოგოვი ადგა, ერთი ღონივრათ გაიწოდინა და აპარატისკენ მიიწია.

— აბა, ამოიღე!

— რაო?.. ამოვიღო?

— მაშ! არ უნდა ვნახო რა გამოვიდა?!

— ჰმ, იცით... განა ასე მალე შეიძლება? ჯერ ხომ არაფერი არ იქნება. მე ჯერ ბნელს ოთახში უნდა წავიდე და იქ გამოვიყვანო სურათი.

საპოგოვს ეშმაკურათ ჩაეცინა და ფოტოგრაფს თითი დაუქნია.

— ხე, ხე, ხეე! ძველი ოინია! ვერ მოგართვეს, ძმობილო, შენ ეხლავ მიჩვენე! ეგრე რასაკვირველია ყველა მოახერხებს!

— რასა ბრძანებთ, ბატონო? წამოიძახა განცვიფრებულმა ებრაელმა.— ეხლა როგორ შემიძლია გიჩვენო, როცა სურათი გამოყვანილი არ არის. ამისთვის საჭიროა ბნელი ოთახი, წითელი სინათლით.

— დიახ... დიახ... ირონიულათ ჩაილაპარაკა საპოგოვმა. რასაკვირველია წითელი სინათლე... დიახ... ბნელი ოთახი. ოო რა მოხერხებულნი ხართ ებრაელები!.. გისწავლიათ ეს ოინები, თუ თქვენით იგონებთ? მომეცით ბნელი ოთახიო... წითელი სინათლეო... ხე...ხე...ხეე! ვინ იკის შენ იქ რაებს გააკეთებ, იმ ბნელ ოთახებში... ამოიღე ეხლავ, მიჩვენე! გიცნობთ რაც შვილები ბრძანდებით. აბა, ამოიღე!

— რა გაეწყობა! ამოიოხრა გოლდინმა და ამოიღო აპარატიდან თეთრი ფირფიტა შუშისა.— აი შეხედეთ, ეს არის!

საპოგოვმა გამოართო შუშა, დახედა და შეურაცხყოფილმა მწარეთ ჩაიცინა.

— ჰაააა! მაშ მე ეგეთი ვყოფილვარ, არა? გავიგეთ, გავიგეთ! ჩინებული ფოტოგრაფი ბრძანებულხართ სწორეთ!

— თქვენც გესმის გგონიათ? შეშინებული კილოთი შეეკითხა ებრაელი.

გოროდოვიომ მრისხანეთ გადახედა.

— მაშ არა? ცბიერი კაცი ხარ შენ! ხვალვე აიბარგები აქედან, 24 საათში!

—

საპოგოვი დავით შეპშელევიჩის ლიტოგრაფიის სახელოსნოში იდგა და გაოცებულ თვალებს აჭრელებულ ქვებზე აცეცებდა.

— ბონჟურ! ზრდილობიანათ მიესალამა დავითი.—როგორ გიკითხოთ?

— როგორც მხედავ. შენ ხელოსანი ხარ? რა ხელობისა ხარ?

— ლიტოგრაფი. სადარბაზო ბარათებსა და სხვა და სხვა ამგვარებს ვბეჭდავ

— აი, შენ მე ეს უნდა მიჩვენო, მედიდურათ ჩაულაპარაკა საპოგოვმა.

— რამდენიც გნებავთ! მე ეხლავ თქვენს ბარათს გადავბეჭდავ. აბა გვარი მიბრძანეთ! საპოგოვი? პავლე მაქსიმეს ძე? აი ამ წუთაში! ჩვენ პირდაპირ ქვაზე დავსწერთ.

— შენ საით მიიწევ? შეშფოთდა საპოგოვი. შენ, ძმობილო, ჩემ თვალწინ უნდა დასწერო!

— თქვენთან დავსწერ, რასაკვირველია, აი ამ ქვაზე.

ის წელში მოიხარა, მიუდგა ქვასა და დაიწყო. საპოგოვი კი მაღლიდან თვალს ადევნებდა.

— შენ ეგ რასა სწერ, ა? განა მაგას ქვია წერა?

— ეს არაფერია, განუმარტა შეპშელევიჩმა,— მე პირდაპირ ქვაზედა ვსწერ, აქ უკუღმა უნდა დაიწეროს, ქაღალდზე კი სწორეთ გამოვა.

საპოგოვი შესწუხდა. ხელები დაუშო და ლიტოგრაფს ჩამოეყრდნო.

— არა, ეგრე შეუძლებელია! ეგრე მე არა მსურს. შენ, ძმობილო, მოუტყუებლათ, პირდაპირ რუსულათ დასწერე, გესმის?!

— განა ეგრე არ არის?.. ნამდვილი რუსულია! მხოლოდ უკუღმა წერაა საჭირო.

საპოგოვს გულიანათ გაეცინა.

— დიახ, გესმის სწორეთ! უკაცრავათ თუ ვერ დაგიჯერო! აბა, დასწერე კაცურათ, მარცხნიდან მარჯვნივ!

— ღმერთო ჩემო! რას ამბობთ, მაშინ ხომ ქაღალდზე უკუღმა გამოვა?

— ეეჰ! დასწერე მეთქი! ტყვილათ თავს ნუ ისულელებ! მრისხანეთ შეუტია საპოგოვმა.

ლიტოგრაფმა მხრები აიჩეჩა და ეასრულა საპოგოვის სურვილი. აი წუთის შემდეგ საპოგოვი ცნობის მოყვარეობით ატრიალებდა ხელში სადარბაზო ბარათს და წარბ შეკმუხნული კითხულობდა.

— ივოგოპას ეძსემისქამ ელვაპ.

საპოგოვს გული მოეწამლა ასეთი მოულოდნელი გარემოებით.

— ჰმ! ეს მე ვარ ეგეთი, არა?! ივოგოპას ეძსემისქამ ელვაპ! გვესმის, გვესმის! მთავრობას დასცინით, არა! ეს თქვენ კარგათ გეხერხებათ. კარგი ხელოსნობაა, თქვენმა მზემ! აღვნიშნავთ, ჯეროვანათ! ხვალ 24 საათში.

ის მწარეთ დაღონებული გავიდა ლიტოგრაფის სახელოსნოდან, თან ჩუმ-ჩუმათ დუდუნებდა:

— ელვაპ... ივოგოპას... ეძსემისქამ...

—

მოხუცი ლეიბა მუცკუსი ზღვის პირათ იჯდა თავისი პატარა მანქანით და საარსებო პურის ფულს შოულობდა. მისი მანქანა უხვათ იზიდავდა პატარა ქუჩის ბავშვებს, თავისი ეშმაკური მორთულობით. როცა პატარა ყუთის ერთი მხრიდან ვინმე სპილენძის შაურიანს ჩაუდებდა, მეორე მხარეზე მყისვე კამფეტის ნაჭერი გამოგორდებოდა.

საპოგოვი მიუახლოვდა ლეიბას და მოკლეთ შეეკითხა:

— შენ, ეი! ხელოსანო! რას აკეთებ შენ?

მოხუცმა თავი მაღლა აიღო, გაწითლებული თვალები მიაპყრო მოლაუბრესა და უპასუხა:

— შოკოლადს ვაკეთებ.

— აკეთებ, აკეთებ, მაგრამ როგორ აკეთებ? ექვიანათ შეეკითხა საპოგოვი.

— რას ნიშნავს, თუ როგორ ვაკეთებ? აი ასე. აი აქ შაურს ჩავაგდებ და აქედან შოკოლადი გამოგორდება.

— შენ სტყუი, ბებერო! ეს ხომ შეუძლებელია.

— სრულიადაც არ არის შეუძლებელი. აი ეხლავ გაჩვენებ.

მოხუცმა აიღო შაურიანი, ჩააგდო ყუთში და მყისვ გამოვარდა პატარა ნაჭერი შოკოლადისა. საპოგოვს მხიარული სიცილი აუტყდა და აღტაცებით შესძახა:

— კი, მაგრამ ეგ როგორ მოხდა? ოჰ ღმერთო დიდებულო! აი ყოჩაღ ბებერო! როგორ ხდება მერმე ეს სასწაული?

— აი ამ მანქანით, განა თითონ ვერა ხედავ?

— მანქანა მანქანაა, ვხედავ, მაგრამ ეს მაგარი შაურიანი, როგორ იქცევა ხოლმე რბილსა და ტკბილ შოკოლადის ნაჭერათ?

მოხუცმა ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა საპოგოვის განცვიფრებული არსება და უპასუხა.

— რასაკვირველია ელექტრონისა და სიმჟავის საშვალებით.

ელექტრონი გაადნობს, ხოლო სიმჟავე გადაამუშავებს, პატარა პრუჟინა კი გარეთ გამოისვრის. ეგრეა მორთული.

— ჰო, ჰო... ჰოოო! ჩაიქნია თავი საპოგოვმა. რას არ მოიგონებენ ადამიანები! შენ ნუ გეშინიან, განაგრძე შენი ხელობა, ბებერო. ეგ შესანიშნავი რამეა.

— მეც აკი ვმუშაობ

— კვლავაც იმუშავე. ეს სწორეთ ნამდვილი საკვირველებაა, მშვიდობით.

და აი აქ მოხდა სწორეთ სასწაული: საპოგოვმა ხელი ჩამოართვა მოხუც ებრაელს.

—

მეორე დღეს, პირველი ხოლმადით უნდა გასულიყვნენ იალტიდან შეპშელევიჩი და გოლდინი თავისი ოჯახობით.

საპოგოვი, სამსახურის გამო უნდა დასწრებოდა მათ გამგზავრებას.

— მე თქვენ ავი გულით არ გეპყრობით, უთხრა მან გახიზნულებს. არის ურია ნამდვილი, რომელიც არა ყალბობს და არის მეორე მატყუარა. თუ ის მართლაც შრომობს შოკოლადით, ან სხვა რითიმე, მე მას ხელს არ ვახლებ, არა. მაგრამ თუ დაიწყეს: ივოგოპას ეძსემისქამ ელვაპ .. ეს კი რა საჭიროა?

არკადი ავერჩენკო

მეგობრის საფლავზე.

(დაუვიწყარ ძმრიან სურგულაძის ხსოვნას)

იის კონა მოგიტანე
მოსალოცათ გაზაფხულის,
შენ კი... თურმე, საუკუნოთ
შეაჩერე ძგერა გულის!
ვაჰმე!.. სიტყვა გულს ნადები
ვის-ღა უთხრა? ვის გავანდო?
რომ აღარ მყავს ქვეყანაზე
საიმედო შენებრ სანდო...
ადექ, ძმაო, ხმა გამეცი!
ძველებურათ გადამკოცნე,
მე გაზაფხულს მოგილოცავ,
შენ — „აღდგომა“ მომილოცე!
ჰა, გაზაფხულს გილოცავ მე!..
შენგან რატო ვერას ვისმენ?
მერე ასეთ გულცივობას,
ხომ იცი, რომ ვერ მოგითმენ?!
სიტყვას გკადრებ უკადრისსა:
„თვითონ შენ ხარ დამნაშავე,
რომ ჩვენ შორის მეგობრობა
ასე ცუდათ დაათავე!“
მე კი ისევ, სანამ გული
არ შემიწყვეტს ძგერას სრულათ,
შენი ხსოვნა ჩემში უნდა
ვასულდგმულო დამალულათ!..

ნ. ზომლეთელი.



ორი ეშმაკი

2.—მერე იმან რა გითხრა?

1.—მითხრა ამ საქმეში ქალები ურევია და შენთან ვერ გავამხელო.

2.—მერე შენ რა უთხარი?

1.—მე ვუთხარი: თუ კი საქმე თეატრში მოხდა, თუ კი ამ საქმის გარშემო ასეთი აურ ზაური ასტეხეთ, რატომ არ შეიძლება ჩვენც გაგვიზიაროთ მეთქი.

2.—მერე იმან რა გითხრა?

1.—რა მითხრა და შენ უთუოდ საეშმაკოთ გეპირია, ხოლო აქ საეშმაკო საქმე არ არის, აქ სერიოზული საკითხიაო.

2.—მერე შენ რა უთხარი?

1.—როგორ თუ სერიოზული მეთქი, თქვენ აქ ლანძღვა-გინებით რუსულის მცოდნე საზოგადოება დაალაღეთ და ნუ თუ ეს სერიოზული საქმე გგონიათ მეთქი?!

2.—მერე იმან რა გითხრა?

1.—რას მეტყოდა! ჩვენ ისა გვაქვს სამწუხაროთ, რომ პ. გელეიშვილიც ხეჩატუროვს ამოეტუზა, თუმცა განიდან, მაგრამ მაინც ამოეტუზა და მასაც ანგარიში უნდა გავუწიოთო.

2.—მერე შენ რა უთხარი?

1.—როგორ უპირებთ ნეტავი ანგარიშის გაწევას მეთქი?

2.—იმან რაღა გითხრა?

1.—მითხრა: თუმცა დიდი მოტრფიალე არავართ ფიზიკური კანონის განსახივრებისა, მაგრამ საცა იდეალური საშვალება არა სჭრის, იქ მატერიალურიც შეიძლება კაცს საძრახისათ არ ჩაეთვალოსო.

2.—მერე შენ რა უთხარი?

1.—მე ვუთხარი: თქვენ ძმანო, ჩემნო, პ. გელეიშვილს ნურც აგრე ეხუმრებით მეთქი. ორი ხელი და ორი ფეხი იმასაც კი აქვს, რასაც თითონაც სამართლიანად აღნიშნავს „თფილისის ფურცელში" მეთქი.

2.—მერე იმან რა გითხრა?

1.—მითხრა ხელიც არის და ხელიცაო, ფეხიცა და ფეხიცაო! ის ჩვენი გიორგის გამოკვლევით ყველა ზღვის პირებზე იქნა გვემულიო

2.—მერე შენ რა უთხარი?

1.—მე ვუთხარი, ეს არაფერი დიდი საბუთია, რადგან ორივე ზღვის პირიდან მას მშვენიერი მოგონება გამოჰყოლია, ხოლო რაიცა თქვენს რედაქტორს შეეხება იმას ბაქოს ქალაქზე მაინცა და მაინც ტკბილი მოგონება არა ჰქონია მეთქი...

2.—მერე რა გიპასუხა?

1.—ვითომ რა გაქვს სახეშიო?

2.—შენ რა მიუგე?

1.—რა უნდა მიმეგო, ვუთხარი ის რაღაც ოხერი „ასტრაკიზმია" კინაღამ გადაუტანია მეთქი...

2.—შე კაი კაცო, რაღა საჭირო იყო „კინაღამ", გადაიტანა და—მორჩა! გადაიტანა ბაქოდან თფილისში და რაინდობის პროფესიიდან რედაქტორობის სავარძელში.

1.—მაშ ეს „ასტრაკიზმი", ჩინებული რამა ყოფილა!

2.—მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში.

1. აჰა�!

ზვარაკი

შ ა რ ა დ ა

(ოზურგეთისთვის)

მონახეთ მცირე ნადირი,
რომელიც ქათმის მტერია;
სოროში ძრომა რო უყვარს,
ბევრ ქვეშ ქვეშა, გაიძვერია.
უკანა ასო მოაკლეთ,
სხვა კი დასტოვეთ, სრულათა
კლასში სახმარი ნივთია
რუსულად ხმარებულათა.
მას, კვალად სიტყვა პატარა,
მიაკერეთ ბოლოსა:
ნიშანი არის, რომელსაც
ლოტბარი აძლევს ხოროსა.
რასაც ვეძებდით მზათ არის,
უკვე ცნობილი ყველასგან,
კაცია, ქალის სამოსით,
ჩვენთვის მლოცველი ძველათგან,
პროგრესისტობდა ერთ დროში,
ყოველგან ეჩხირებოდა

თურმე ნუ იტყვით, მაცდური
გულში სიცილით კვდებოდა,
აქ იხვსა ეცა, — გაუგეს,
იქ ბატი ველარ წაიღო;
საქათმეში რომ მოიმწყვდა
ეხლა კი ყველამ გაიგო,
მაგრამ დახედეთ, მონახა
მისფერა მან დამცველია;
ყინულზე დასვა ყველანი,
მოწმობა იგდო ჭრელია;
რედაქციებში აფრინა
წერილი გრძელზე გრძელია.
საბრალო! ვისღა ატყუებს.
ეს არის საკვირველია!

წკეპელა.

საშშობლოს ენის გუშაგნი.

(ბატარა სცენა)

(სცენა წარმოადგენა სასეირნო ბაღს. გრძელ სკამზე ზის რამდენიმე პირი, რამდენიმეც წინ უდგანან და მუსაიფობენ)

ბირველი კაკარდასანი. ეგენი ისეთი ხალხია, რომ არც ერთ ქართულ დაწესებულებაში შესაშვები არ არიან. სადაც კი ფეხი შედგეს, დედიან-ბუდიანად გადაბრუნება მოინდომეს.

მეორე კაკარდ. მაშ, კაცო! ეგ რად გინდა, შენ ისა სთქვა, რომ ენასაც უარს ჰყოფენ: სულ ერთი არ არის, რა ენაზედაც ვილაპარაკოთო.

დიბიანი კაბი. Дураки! რატომ არ იციან, რომ რა ენა წახდეს... მერე როგორაო?

ყველანი (სათითაოდ) არ ვიცი... არ ვიცი...

უმაწვილი საოვალებით. Это удивительный народъ!.. Отвергать родной языкъ, я ужъ не понимаю!..

ბირველი კაკარ. ამისდა მიუხედავად მაინც მედგრად მოიწევიან და შემოკრას ეპირებიან ჩვენ ნაციონალურ დაწესებულებებში.

ოთხანტი უმაწვილი. მაგრამ ვერ მივართვი; პოზიციები დროზე გავამაგრეთ და ვნახოთ რას მიირთმევენ... Мы имъ покажемъ!

დიბიანი. უფრო კი, ბატონებო, ენაა... ენა საფრთხეში: გარეულ მტერს შინაურიც მოემატა.

ბირველი კაკარ. ენის დაკარგვა — ეს გადაგვარების უტყუარი ნიშანია.

ფრანტი უმაწ. Истинная правда!

ჟურნალ-გაზეთ. დამოკარებელი. უკაცრავად, ბატონებო! ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ხომ არ ინებებთ, ყველაფერი მაქვს. საყმაწვილო ჟურნალებზედაც ვიღებ ხელის მოწერას. აი ,,ჯეჯილი'' — ხუთი მანეთი ღირს წელიწადში... 12 ნომერი გამოვა თავესს დამატებებით.. აი ეს ,,ნაკადულის'' ნომერიც, არც ეს არის ძვირი .. (აწვდის სათითაოდ, მაგრამ ყველანი უარის ნიშნათ თავებს აქნევენ).. ინებეთ, ნახეთ!

ბირველი კაკარდ. (არ ართმევს) ვიცი, ვიცი, რაც არის, რათ მინდა რომ ხელში არ ავიღო!.. მაგრამ, ჩემო ძმაო, ცოტა დაიგვიანე: მე უკვე რუსული საბავშო ჟურნალი გამოვუწერე ჩემს ბოვშვებს (მიუბრუნდება მეზობელს) წარმოიდგინეთ ? მან. იმდენ რამეებს გზავნიან, რომ გაოცებული ვარ. ჩვენი ჟურნალები კი ძვირიც არის და თითქმის არაფერსაც არ იძლევიან... და გარდა ამისა ბოვშვები რუსულშიაც ვარჯიშობენ...

მეგაზეთე. რათა, ბატონო, ძათშიაც ძალიან შინაარსიანი წერილები იბეჭდება... აი ნახეთ (აწვდის „ჯეჯილს").

ბირველი კაკარდ. არ მინდა, კაცო, არ დამანებებ თავს?.. (ადგება) ყმაწვილებო, ნახვამდის, ამაღამ ბანკეტზედ მოსვლა არ დაგავიწყდეთ... (მიდის, მას რამდენიმე მოსეირნე გაჰყვება).

მეგაზეთე. (მეორე კაკარდოსანს) თქვენ ხომ არ ინებებთ? (აწვდის ,,ჯეჯილს'', მაგრამ ის არ ართმევს).

მეორე კაკარ. შვილო, რას ჩაჭაციდი? ჩემს შვილებს „ინჩიც" არ გაეგებათ ქართულისა და აბა ჩემთვის ხომ არ გამოვიწერ? ცოლია და ისიც რუსია. (ადგება და მიდის) მშვიდობით ყმაწვილებო.

მეგაზეთე (მხრებს აიწევს და შეჰყურს ლიბანს).

დიბიანი. მე ტყუილად შემომყურებ: ჩემს შვილებს ქართულისათვის არა სცხელათ, ნეტა რუსული მოასწრონ, თორემ ქართულს ვინლა ჩივის. ბოვშვებს რომ დედა ქართველი ეყოლება აბა რუსულს ვისგანღა ისწავლიან. და შენ გინდა, რომ ბოვშვები სრულიად გადამერივნენ?.. არა, ჩემო ძმაო, არა... განზე იარე, ის გირჩევნიან... (ადგება და მიდის).

მეგაზეთე. (ფრანტ ყმაწვილს) თქვენ იყიდეთ რამე, ბატონო!

ფრანტი უმაწ მე?.. ჰმ!.. მე ჯერ ბედნიერება არა მქონია სავსებით საზოგადო მოღვაწედ ჩავწერილვიყავ, რადგან ჯერ უცოლშვილო ვარ... მართალია შიშით ძალიან მეშინიან, ეს ფილიპე გოგი ჩაიშვილმა არ გამიგოს, მაგრამ ვცდილობ კონდრობანდათ მაინც ვითვლებოდე საზოგადო მოღვაწედ, მაგრამ არც ისე, რომ საქველმოქმედო აზრით გამოვიწერო ქართული საბავშვო ჟურნალი.

მეგაზეთე მაშ იქნება ინებოთ და „გლეხი კაცის ისტორიაზე" ხელი მოაწეროთ?

ფრან. უმაწ. ,,გლეხი კაცის ისტორიაზე ?

მეგაზეთე. დიახ, მშვენიერი დიდი რომანია ფრანგულიდან ნათარგმნი.

ფრან. უმაწ. ფრანგულიდან?! ხა, ხა... ხა! ფრანგული ვიცოდე და ფრანგული ნაწარმოები ქართულად წავიკითხო?.. ხა, ხა, ხა! . შენ ის მითხარ, სხვა რაღა გაზეთები გაქვს?..

მეგაზეთ. რაც გნებავთ უჩვენებს მრავალ გაზეთებს).

ფრანტ. უმაწ. „Капейка -ც გაქვს?

მეგაზ. კი, ბატონო! (ამოიღებს და აძლევს).

ფრანტ. უმაწ. *Вотъ это понимаю:* и дешево и мило.

მეგაზ. (თავისთვის) ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო.

(ფარდა)

ხუცი.

მეც მინდა საშოვარდო მოღვაწე ვავხდე!

(სცენა მოსიდოგი)

„ვაი რა კარგი საჩინო
„რა ავათ მიგიმჩნიესო,
„მაცხოვნებელი შენ მათი
„წაწყმედათ მიგიმჩნიესო!

გურამიშვილი

სცენა წარმოადგენს სცენას, უნდა იყოს ტუეში, მაგრამ საუბედუროთ ოთახშია. ახალგაზრდა ნახევარ-აკრონომი, ნახევარ ლიტერატორი, ნახევარ ზოეტი, ნახევარ პუბლიცისტი, ნახევარ კომერსანტი და სრული ექვს წლოვანი კორესპონდენტი (ოცდა ექვსი წლის ჭაბუკი) ნახევრათ საზღვარ გარეთ გადასახლებული **სახელწოდებით იპრინჭა** ბახტარაძე ზის მაგიდასთან და კითხულობს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ უკანასკნელ გამოცემულ „არსენას დაქსს“ იპრინჭა, იპრინჭა-აგრიხება ცმეკვს, უდგაშებს აქიტინებს და ვითარცა იერემია წადანიასა შინა დადადუოფს: — **ნავხე** რაც ჩემს გულს **ნანდო მარა** აი ჩემი მოწოდება რატომ მე კი არ უნდა გავხდე საზოგადო მოდვაწე რა მაკლია, არაფერი იდია ხონელი (ბახტაძე) თუ პუბლიცისტ-იუმორისტი იყო მე რა დავაშავე მეც ხომ... თუ იმან იმერეთის კორის თავ გადასვალი დასწერა მე სამაგიეროთ იმერული ვირის თავ-გადასვალს დავწერ—ისე მაქვს შესწავლილი იმერული ოხანი ვირის ამბავი როგორც საკუთარი ბიოგრაფია. მაგრამ არა მე ხომ „ნეტარ ხსენებულ“ იდია ხ ნელს არ ვეკონკურენტები, აცხონოს დმერთმა. ახლა რომ ცოცხალი ეოფილიყო ჩამორჩენილი იქნებოდა. კაცი ისე მოკეტა ეთი დექტია არ წაეკითხავს. ანა რა უშავდა წაეკითხა სხვა და სხვა ადგილას დექტია „იმერული ჯორი და იმერული“ ამის ნებართვას გუბერნატორი ეოველთვინ დართავდა. მაგრამ რაი მოდათ **სუნელი** იყო იმას არც ფულები **ნანდობა** და არც კაცის კეტანა. მე კი უნდა წაეკითხა დექტიები... მარშან მინდოდა წამეკითხა ყაზის მოგლაზე დექტიები მარა როგორც მე მინდოდა ისე ვერ მოვაწევე. ახლა შენ აკაშენა დმერომა ზაქარია აკი რა კი მასალა მომეცი. . რა კი ეოფილა ბატონ-უმობა, აი გიდი გ. ერისთავო! მიეურე რაკარ **კამოგზიმა** ჩემს დექტიაში. რა დაკარქვა ჩემს დექტიას? ბატონ-უმობა და ზაქარია ჭიჭინაძე, არა არ იგარგებს ზაქარია ახლა მაინა და მაინც არავის უკვარს, არსენა და ბატონუმობა, არარც აკი **ნავარგება** გუბერნატორი იკითხავს ვინ იყო არსენაო და რა უთხრა *„разбоникъ“. не разрѣшитъ* (წამოდგება, ფიდოსოფიურ ბოზას იდებს, შუბდზე თით მიბჯენილი ოთახში ბოლთას სცემს).

— მალადეც ბიჭო, იპრინჭა, გავიხსენე—დანიელ ჭონქაძეც ხომ ბატონუმობაზე წერაგდა მის სურამის ციხეში .. მოგვიხსენიებ მასაც და ჩემს დექტიას ასე მოგნიდავ—ბატონუმობა და დანიელ ჭონქაძე. დავაბეჭდიებ ამიავდენიებს ჩამეკიარ ეგელგან და ეწყალ მდაბიო ხალხს გავაცნობ რა იყო ბატონ-უმობა

II

რაც ითქვა ადსრულდა კიდეც. იპრინჭი ბახტარაძე ხონელი კამოიპრინჭა ჩამოიარა ქალაქ-ქალაქი და დაბითდება და ეგელგან წაიკითხა შემდეგი შინაარსის დექტია:

„ბატონებო! მე მიინდა გაგაცნოთ რაფერი ცხოვრება იყო ძველათ. უწინ სანამდი კაპიტალისტური ხანა დადგებოდა იყო ბატონობა ბატონების, ბატონები ბატონობდნენ, ეშები ეავდნენ და ეშებს ისე ეუურებდა ბატონი რავარც თავის ეშას ეშა მოსა იყო თავადი კი ბატონი. გრიგორ ორბელიანი ადექსანდრე ჭავჭავაძე დექსებს წერაგდნენ მარა სიყვარულზე ეშა არ ახსენებდენ. ნეტარ-ხსენებულმა ჭაბუკმა ილიამ დაწერა „მესმის მესმის სადხო ბორკილის მტვრევაო“ შენატრა დმერთს ჩემს მამულშიც გამაგონეო. შეეწყვეტოთ აქანა ახლა ძაფი ჩვენი წაკითხული საუბრის, დაგდეგ წაადს და მოგახსენებთ თუ ვინ იყო ნეტარ ხსენებული დანიელ ჭონქაძე, მარა მანამდე გეტყვით რას ამბობს ზაქარია ჭიჭინაძე არსენას დექსში— „. ერისთავი ტრაბახობდაო ეშის ცოდი ბირველ დამეს იმდენი მეავდა რომ ორმოცდა ათს მარტო მარიამი ერქვაეო. დანიელ ჭონქაძე ხეტის შვილი იყო ესე იგი გლეხის წოდებიდგან მას დასწერა სურამის ციხე.—რავა არ გაგიგონიათ დექსი „სურამისა ციხეო სურვიდითა კნახეო, ჩემი ზურაბ მაქანია კარგათ შემინახეო“.

ოვადებს ქე უნდოდენ. დანიელის მოკვდა მარა მას ჭდექი დაემართა და ქე მოკვა მისით. ახლა რომ მივიდეთ მის სოფლავზე და ჩავძახოთ „დანიელ შენ რომ ებრძოდი ბატონუმობას იგი ქე მეისმა მარა ახლა ეფულის ეშათ შეგიქენითო დანიელ ამოკვეძახებს სოფლავიდგან დაფეტურდიო და ფულის მონებასაც მოსპობთო. ამ ფერი იყო ბატონუმობა. იგი ფიდიბე მახარაძესაც აქ აწერიდი. აი რავარ საშიშარ დროში დროში ვცხოვრობდით! ხვალე მე წეეიკითხავ დექტიას ჩაგრულთა ზოეტი ვახტანგი. ზეკე ვაბირებ წეეიკითხო ჩვენი იუმორისტები, და სატირიკოსები (ბაწიები თუარ შეეიმადრიელე ამ ოხრებმა ჩაცხება იტიან!) ფასები ძალიან დაკლებული იქნება. მე რაც გესაუბრეთ წაკითხვით. უკანარავთ ვარ მარა მდაბიო აუდიტორიისთვის დავწერე—ვინც არ მომესმინა და გეიბარა იგინაც დექტიას არ წეეიკითხავ აგი კარგათ იცოდენ ამ „ნედაუწკებმა“.

ხონელი!?

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

ცენზი

კნიაგინა ცუცუ. რა საქმეში ხარ, ქალო, გეყოფა ამდენი ფერ-უმარული, ადექ წავიდეთ გაეისეირნოთ.

კნიაგინა თეკლე. უი ჭა, სასეირნოთ ვისა სცხელა, შე დალოცვილო! ქალაქის უპრავლენიაში ყიდევარ „აჩენციქობა“ მინდა მიეიღო; თუ არ შევლამაზდი ხომ იცი, რა თვალი შემოგხედავენ?

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(ვოლდემარის საგენტო)

ფოთი. თუ ამერიკელებმა სახელი გაითქვეს სხვა და სხვა გამოგონებით, არც ნიკობურგელები ჩამორჩენ მათ. ამ დღეებში დაარსდა აქ „ლიგა უმავთულო ტელეფონისტკებისა და ტელეფონისტებისა". მიზანი ლიგისა ფრიად სიმპატიურია: ელვის სისწრაფით გავრცელება სხვა და სხვა ჰორებისა ზოგიერთ პირებზე. განსაკუთრებული ნიჭი უმავთულო ტელეფონის მოწყობაში გამოიჩინა ერთმა ბანოვანმა... (ვერ გავარჩიეთ). მას დაეხმარა რამდენიმე ბულვარის მოლაყბე. (უმავთულო ტელეფონი, ახლად გამოგონილი, ფრიად რთული მექანიზმისაა—თუმცა უმთავრეს როლს აქავებული ენა ასრულებს) ამ ტელეფონის საშვალებით მთელმა ნიკობურგმა გაიგო, რომ ერთ სუსტს ადამიანს, მილიარდერობა მოუნდომებია და ამ მიზნით კიდეც უჯაშუშნია.

იქიდანვე. რადგან ეხლანდელი უნიერსიტეტები და ინსტიტუტები სტუდენტებს ზრდილობას ვერ ასწავლიან, ქალაქის გამგეობის ერთ განყოფილებაში, ერთ მაღალ სასწავლებელში კურს დამთავრებულის ინიციატორობით დაარსდა институтъ вѣжливости გადიან უმთავრესად ზრდილობის ეთიკას, ეთიკის ზრდილობას, ზრდილობიან მოპყრობას.

მიზანი ფრიად სიმპატიურია. ინსტიტუტში კურს დამთავრებულნი (როგორც იმედობენ) შემდეგში მოხუც და საპატიო პირებს „მოდი ბიჭო აქ" არ დაუძახებენო. ვნახოთ, რა ნაყოფს გამოიღებს ეს ახალი ინსტიტუტი.

იქიდანვე. მოახლოვდა ეგზამენები. გახშირდა მასწავლებლების სადილათ მიპატიჟება.

მასწავლებლების სიხარულს სამზღვარი არ აქვს, რადგან ორ თვეს იოლად გავლენ.

იქიდანვე. ნიკობურგის ბულვარში, კვირას, 4 აპრილს, გაემართა გრანდიოზული მიტინგი ნიკობურგელ ბანოვანთა. მიტინგს მრავალი პრილიკოვტარნოვსკები დაეწრენ (იყვნენ მომავალი ტარნოვსკეებიც, ზოგიერთი მოსწავლენი საქალებო გიმნაზიისა). მიტინგმა ერთხმად დაადგინა—უსაზღვრო მადლობა გაუგზავნოს ქ-ნ ტარნოვსკაიას ქ. ვენეციაში, რადგან მან ასე შესამჩნევათ მოაჯადოვა უჭკუო კაცები.

ამავ დროს მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სასტიკ პროტესტს უცხადებს ვენეციის სამსჯავროს ტარნოვსკაიას გასამართლების გამო. ტარნოვსკაიას დასჯა, ეს მსოფლიო ქალების დასჯაა, რამეთუ ჩვენც ყველანი ტარნოვსკები ვართ (თუმც სამწუხაროთ въ миніатідрѣ-ო).

ვოლდემარ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

სიმართლისა და სამართლიანობის აღსადგენათ, გთხოვთ ალაგი დაუთმოთ ამ პატარა ცნობას.

„მათრახის" № 12 მოთავსებულია კოლექტიური წერილი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა, რომელშიაც ისინი „ამართლებენ" მღვდ. მელიტონ ქავჯარაძეს და თითქო „ჩირქს" აცილებენ მას იმის დასაბუთებით, რომ მას არასოდეს არა ჰქონია მეგობრული დამოკიდებულება ინსპექტორ გორგასლიძესთან და ამის გამო მისი გადაყვანის აბაბი არც გახარებია, არც სწყენია.

ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა, რითაც მღ. ქავჯარაძემ შეცდომაში შეიყვანა წერილზე ხელის მომწერნი. „შეცდომაში" მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ მასწავლებლებმა ძლიერ კარგათ იცოდენ ქავჯარაძისა და გორგასლიძის კეთილი განწყობილება. ესევე იცოდა მთელმა ოზურგეთის საზოგადოებამ. დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ.

როგორც იმ წერილიდან ირკვევა მ. ქავჯარაძეს მეგობრული გრძნობა-კავშირი კი არ აინტერესებდა, არამედ პირადი საგებლობა, რომელსაც ის ამ მეგობრობიდან გამოელოდა. დღეს კი, როდესაც გორგასლიძის სახელთან იმისი დაკავშირება თითქო სასარგებლო არ დარჩა, იჩქარის უარყოს ყოველივე კავშირი და მეგობრობა*) მან არა თუ თითონ იბრუნა პირი გულშინდელი მეგობრისაგან, არამედ ისეთი მასწავლებლებიც კი შეაცდინა, რომელნიც სულითა და გულით კირკის მსურველნი იყვნენ გორგასლიძისა.

ნეტავ ვინ ატანდა ძალას ბ-ნ მელიტონს, რომ გარეგნულათ ნიანგის ცრემლსა ღვრიდა და თუმცა ჭამას არავინ მისგან არ საჭიროებდა, მაგრამ მაინც მწუხარებას აცხადებდა ინსპექტორის გადაყვანის შესახებ? განა თქვენი სიტყვები არ არის: „ნეტავ მაგათ (ინსპექტორის) გადაყვანამდე ჩვენ გადავეცვანეთ სადმეო». მეგობრობაც აი ასეთი უნდა!

მოიგონეთ ბ-ნო მელიტონ 1906 წელი, თქვენი ეადგილოთ ყოფნა. ვინ იყო, რომ თქვენი გულისთვის ოლქის მზრუნველთან დადიოდა? ვისი მეოხებით ბრძანდებით თქვენს დღევანდელ ადგილზე და ნუ თუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც გორგასლიძემ თქვენთვის მოიმოქმედა, ასეთი პასუხი იყო თქვენგან მოსალოდნელი? საინტერესოა ვიცოდეთ თუ, რისთვის გახდა თქვენთვის დღეს სამარცხვინო ის ნაცნობობა, რომელსაც ამ ახლო წარსულში ასე თავგამოდებით ეტრფოდით და ეძებდით?

სამწუხაროა აგრეთვე ის მოვლენაც, რომ თქვენი ცბიერებით შეცდომაში შეიყვანეთ მასწავლებელთა უმრავლესობა და იმისთანა მტკნარ სიცრუეზე ხელი მოაწერინეთ, რასაც დღეს თითონ მწუხარებით აღნიშნავენ**)

ანნა გორგასლიძისა.

---

*) ეს რა გასაკვირია! მოვახსენებთ ქ-ონ გორგასლიძისას, რომ თვით მოციქულმა პეტრემ, „მამლის ყივილამდე სამგზის უარყო მოძღვარი თვისი იესო!" მელიტონი კი ერთი უბრალო მომაკვდავი ხუცესია. ეშმაკი.

) „მათრახ-სალამურ"ის" რედაქციაში მოვიდა ცნობა, რომ ზოგიერთი წევრნი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის „საბჭოსი" უკმაყოფილებას აცხადებენ მათი წერილის **უცვლელათ დაბეჭდის შესახებ. სამწუხაროდ მასწავლებელთა კოლობა ქართულ სიტყვიერებაში არც ისე იშვიათი მოვლენა არის და ჩვენც არ დავზოგავდით შრომას, შეგვესწორებია მათი ხელნაწერი, თუ ისეთი კატეგორიული თხოვნით არ მოემართათ. ორივე ორიგინალი რედაქციაში ინახება და მსურველს შეუძლია შეამოწმოს, თუ როგორი მიუდგომლობა გამოიჩინა რედაქციამ ამ საკითხში. ეშმაკი.

ბ-ნო რედაქტორო!

მე კარგა ხანია მოვსპე კამათი ბ. გ—ლისთან და მიზეზებიც საკმაოთ განვმარტე, მაგრამ ჩანს, ბ. გ—ლის მალე ავიწყდება, რასაც ეუბნებიან. ის კიდევ რაღაც ლ. თაიებს მოჰყოლია. რაც მხოლოდ მისი საკუთარი ავი-მყოფი გონების ნაყოფია და სხვა არაფერი. ერთხელ კ. დევ ვუმეორებ: მე რომ პროვოკაციისთვის მიმემართა, აქამდე ნაყოფს ნუ თუ ვერავინ დაინახავდა?!! საქმის გაპიახურება კი მხოლოდ მისი ბრალი იყო. იმ დალოცვილს იმდენი ხანს ვუცადე ჩემი მედიატორებით და მოწმეებით; გამოეჩავნა თავისი რწმუნებული და თუ „ჰტესტატის“ ჩაბარება იყო, მაშინ ჩამბარდებოდა. მან, როგორც მოცლილ ადამიანს, მე, ათასი საქმის მქონე კაცი, ვერ ავყვები და ვსდევ. ყრესთვის ათჯერ არა სწერავენ. არც მასთან და არც იმ „ორ სხვა“ ბახუსის თაყვანის მცემლებთან საქმე აღარა მაქვს.

კონდუქტორი სანდრო ბაბანაშვილი.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კოლპორტაჟი

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფაშსი მიიღებს თავის ადრესზე.

წელიწადი 1910 წლისათვის მეოთხე.

მიიღება ხელის მოწერა

უთვალ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავვისტოს პირველ რიცხვებშ ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი პრეგული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома, Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მ'ეფდავი ამბ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

ს ა დ ა ლ ა ქ ო შ ი.

рис. Ре.Ми.



ლიოგოგრაფია ს. ბიხოვისა.

მუშტარი. (ცოტა ნაწყენი კილოთი) ეგ რა მიქენით ბ-ნო დალაქო! ეს გახამებული საყელო რის-ოვის გამიუუქეთ? დღეს კონცერტზე ვაპირებდი და თქვენი მიზეზით ასეთი სალამო მეკარგება!